დავიბადე 1979 წლის 30 მაისს ქ. გურჯაანში.

2002 წელს დავამთავრე საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2006-2011 წლებში ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოში მანდატურის თანამდებობაზე.

2011-2015 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მანდატური.

2015-2017 წლებში ვმუშაობდი იუტიციის უმაღლეს საბჭოში სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს კონსულტანტის თანამდებობაზე.

2017-2019 წლებში ვიყავი იუტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი.

2019-2020 წლებში ვიყავი სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2020 წლის მარტიდან, 2020 წლის პირველ დეკემბრამდე ვმუშაობდი იუტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით, 2020 წლის პირველი დეკემბრიდან დავინიშნე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის განკარგულებით, 2023 წლის 01 დეკემბრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე დავინიშნე უვადოდ.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.